2018-2019 სასწავლო წლის II სემესტრის ანგარიში.

2019 წელი სკოლა ანაბასისში ძალიან საინტერესოდ და შემოქმედებითად დაიწყო. 5 იანვარს გოდერძი ჩოხელისადმი მიძღვნილ ლიტერატურულ საღამოზე,რომელიც ქართულის პედაგოგის მარეხი ფორჩხიძის ხელმძღვანელობით მოეწყო,საპატიო სტუმრად მოწვეული გვყავდა ყველასათვის საყვარელი მწერალი დათო ტურაშვილი;

ღონისძიების ბოლოს სტუმარმა უპასუხა მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს, ესაუბრა მათ წიგნების სიყვარულის და კითხვის აუცილებლობის შესახებ.მოსწავლეები ყურადღებით და აღფრთოვანებით უსმენდნენ მწერალს,რომელიც მათ მომავალში მსგავს ლიტერატურულ ღონისძიებებზე სტუმრობას დაჰპირდა .

ლიტერატურულმა სალონმა სკოლა ანაბასისში მუშაობა ახალი ფორმატით განაახლა . სალონის შეხვედრებზე მოსწავლეები მათთვის სასურველ ნაწარმოებებზე წარმოადგენდენ პრეზენტაციებს, დასწრება თავისუფალი იყო. ყოველი პრეზენტაციის ბოლოს იმართებოდა წარმოდგენილი ნაწარმოების განხილვა და დისკუსია.

"ჩვენ მივდივართ მუზეუმში" ასეთი სახელწოდების იყო პროექტი,რომელიც ანაბასისის IV ა და IV ბ კლასის (ხელმძღვანელები ლეილა გიორგაძე და შორენა მუმლაძე) მოსწავლეებმა განახორციელეს "მე და საზოგადოებაში" თეა სამხარაძის ხელმძღვანელობით.

მოსწავლეებმა ჯგუფების მიხედვით აირჩიეს და თავიანთ საკლასო ოთახებში მოაწყვეს მინი მუზეუმები მათ მიერვე მოგროვილი და შექმნილი მასალით. მუზეუმის "დამთვალიერებლების" წინაშე მათ შეძლეს განესაზღვრათ სად მდებარეობს მათი მუზეუმი და რა დანიშნულებისაა იგი. სწორად განმარტეს სიტყვები: ექსპონანტი და ექსკურსიამძღოლი, თვალასაჩინო ადგილზე განათავსეს მუზეუმში ქცევის წესები, აღრიცხეს სამუზეუმო ექსპონანტები და მათ შესახებ საინტერესო ინფორმაციების წარდგენით სტუმრების მოწონება დაიმსახურეს.

პროექტის "ჩვენ მივდივართ მუზეუმში" დასკვნით ეტაპზე ანაბასისის IV კლასის მოსწავლეები კლასის ხელმძღვანელის ლეილა გიორგაძის და "მე და საზოგადოების" მასწავლებლის თეა სამხარაძის ხელმძღვანელობით ზესტაფონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ესტუმრნენ და შთაბეჭდილებებით სავსენი დაბრუნდნენ სკოლაში.

წმინდა თამარ მეფის ხსენებისა და წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით III ა კლასის მოსწავლეებმა დაგეგმეს და განახორციელეს სხვადასხვა საინტერესო აქტივობა.

მოსწავლეები გაეცნენ თამარ მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ამონარიდებს სხვადასხვა ისტორიული თუ მხატვრული ნაწარმოებიდან, მოიძიეს მასალები ინტერნეტიდან, შექმნეს დიორამები...

ბავშვებმა თავიანთი ნააზრევი დაუკავშირეს თანამედროვე ცხოვრებას, მათი ფიქრები, გრძნობები კარგად გამოვლინდა მათ მიერ შექმნილ ნამუშევრებში.

ხელმძღვანელი ლოლიტა ნებიერიძე

1 თებერვალი წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეა. ანაბასისის ლიტერატურული კლუბი შეუერთდა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ინიციატივას და სკოლის ბიბლიოთეკაში გამართა წიგნის საჯარო კითხვა. კლუბის წევრებმა გააკეთეს თავიანთი საყვარელი ნაწარმოების შესახებ პრეზენტაცია და მათთვის სასურველი ფრაზები წაიკითხეს საჯაროდ.

„წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე“ 2010 წლიდან ყოველწლიურად მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში აღინიშნება, რომელთა რიგებს საქართველო 4 წელია შეუერთდა.

ღონისძიების ოფიციალური პარტნიორია საერთაშორისო ორგანიზაცია-"Litworld".

შეხვედრაზე წარმოდგენილი და განხილული იყო შემდეგი ნაწარმოებები: ია კარგარეთელის "სხვა უდაბნოს საიდუმლო" (ქეთი ფანცხავა და მარიამ ჭანტურიძე), ჯეიმს გრინვუდის "პატარა მაწანწალა" (მარიამ აბესაძე), ელიფ შაფაქის "სიყვარულის 40 წესი" (თამარ ჩინჩალაძე);

ხელმძღვანელი თეა სამხარაძე.

2 თებერვალი-მკვლევართა კლუბი „ანაბასისი“ აქტიურად განაგრძობს მუშაობას. კლუბის ერთ-ერთმა წევრმა, მეათე კლასის მოსწავლე მარიამ ჭანტურიძემ საკუთარი ინიციატივით საინტერესო პრეზენტაცია წარუდგინა აუდიტორიას თემაზე: „პარაზიტები და ადამიანი“.

თემა ძალიან აქტუალური იყო . პრეზენტაცია მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავდა და დიდი დაინტერესება გამოიწვია. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლები და მშობლებიც ჩაერთვნენ.

კლუბის კურატორები ქეთევან ედიბერიძე და თამარ ბაქრაძე

2019 წლის 5 თებერვალს სკოლა ანაბასისში შედგა IV ბ კლასის კლუბის "ყოველი კარგი წიგნი თვალწინ გვიშლის ახალ სამყაროს" მორიგი შეხვედრა . კლუბის წევრებმა წაიკითხეს რ.ინანიშვილის "ზამთრის ზღაპარი", წაკითხული ნაწარმოების გაანალიზების შემდეგ დაწერეს თავისუფალი თხზულება თემაზე: "ჩემეული ზამთრის ზღაპარი" და თავიანთი ინტერპრეტაციით წარმოადგინეს ზამთრის ილუზიები, მათ სინანული გამოთქვეს წლევანდელი დამთბარი ზამთრის გამო ...იოსებ ჩუბინიძემ თავისი ნახატით საინტერესოდ წარმოგვიდგინა უთოვლო ზამთრის მზიანი პეიზაჟი... კლუბის ხელმძღვანელი ლეილა გიორგაძე

8 თებერვალი დავით აღმაშენებლის ხსენების დღეა. ამ თარიღის აღსანიშნავად სამივე მე-3 კლასის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა(ლოლიტა ნებიერიძე, ხათუნა წითელაშვილი და ეკა ჯიმშიაშვილი) განახორციელეს პროექტი " მეფე მწიგნობარი". ისინი აქტიურად ჩაებნენ ამ პროექტში. დასახეს სამოქმედო გეგმა. ეწვივნენ სასკოლო ბიბლიოთეკას,(იტორიის მასწავლებელმა(ნინო ტალახაძე) და ბიბლიოთეკის გამგემ საინტერესო წიგნები და ინფორმაციები მიაწოდეს მოსწავლეებს. ბავშვებმა დაახარისხეს და წარადგინეს თავიანთი ნამუშევრები, შექმნეს დიორამები, პროექტის დასრულების დღეს , სამივე კლასმა ერთობლივად კიდევ ერთხელ შეაჯამეს თემის საკითხები და იმსჯელეს დავითის ღვაწლზე.

პროექტის მონიტორინგი განახორციელა სკოლის განვითარების ჯგუფმა-ხელმძღვანელი თეა სამხარაძე.

ანაბასისის მოსწავლეებმა ბაკურიანის ზამთრის ბანაკში დროს აინტერესოდ და მხიარულად გაატარეს.

მადლობა დავით კელენჯერიძეს ასეთი საინტერესო შემოთავაზებისთვის, სკოლის დირექციას გვერდით დგომისა და მხარდაჭერისთვის, სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერ თეა სამხარაძეს ბანაკის ორგანიზებისთვის, პედაგოგებს-თამარ ბაქრაძეს,ნატო აბულაძეს, ეკატერინე ჩაჩიბაიას და მაია ბიჩელაშვილს ბანაკში აქტიური მონაწილეობისთვის.

ანაბასისელმა მოაზროვნეებმა ბაკურიანის ზამთრის ბანაკში საინტერესო ინტელექტუალური თამაში გამართეს.პირველ ტურში მონაწილეობდა სკოლის მეშვიდე -მეთორმეტე კლასის მოსწავლეები. თამაშს უძღვებოდა ბანაკის ხელმძღვანელი, ანაბასისის კურსდამთავრებული და სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი დავით კელენჯერიძე . ჟიურის წევრები იყვნენ სკოლის პედაგოგები თეა სამხარაძე და თამარ ბაქრაძე. თამაში ძალზე საინტერესო და მხიარულ ვითარებაში წარიმართა.

ინტელექტუალური კონკურსი V- VII კლასის მოსწავლეებს შორის.

ანაბასისელმა მოაზროვნეებმა ბაკურიანის ზამთრის ბანაკში საინტერესო ინტელექტუალური თამაში გამართეს.პირველ ტურში მონაწილეობდა სკოლის მეშვიდე -მეთორმეტე კლასის მოსწავლეები.მეორე ტურში გამარჯვებული მოაზროვნეების გუნდი პედაგოგების გუნდს შეხვდა.თამაში ძალზე საინტერესო და მხიარულ ვითარებაში წარიმართა.

დავითობასთან დაკავშირებით გამოცხადებული კვირეულის ფარგლებში სკოლა ანაბასისში ჩატარდა ტესტირება, რომელშიც აქტიურად ჩაერთო სკოლის ყველა კლასი. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გადაავლეს თვალი დავითის დროინდელ საქართველოს ისტორიას და უპასუხეს კითხვებს ძლევამოსილი მეფის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.თითოეული კლასის საუკეთესო შედეგის მქონე მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა ინტელექტუალური გუნდი. გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს ინტელექტუალურ თამაშში.

კლუბის მიზანი იყო მოსწავლეთა დაინტერესება ინტელექტუალური თამაშებით და მათი ინტელექტუალური დონის ამაღლება;

V- VII კლასის მოსწავლეებს თამაში ისტორიის პედაგოგმა ნინო როინიშვილმა ჩაუტარა.

თამაში ძალიან საინტერესოდ და სახალისოდ წარიმართა.თამაშში აქტიურად ჩაერთო დარბაზში მყოფი მოსწავლეები,მასწავლებლები და მშობლები.

6 თებერვალს „დავითობის კვირეულის“ფარგლებში VI ა კლასის მოსწავლეებმა გააკეთეს წაკითხული წიგნის „ტყეთა მეფე“ პრეზენტაცია.

,,შენ ტყეთა მეფე ხარ და ვერა ოდეს გამოხვალ ველთა”- ასე სწერდნენ სელჩუკები ჯერ კიდევ გაპარტახებული საქართველოს მეფეს, დავით აღმაშენებელს, რომელსაც მამამისის, გიორგი II-ის მიერ ტახტის დათმობის შემდეგ ჭაბუკობაშივე მოუწია, თავის თავზე აეღო ძალიან რთული მისია - ტყე-ღრეებად ქცეული საქართველო კვლავ სახელმწიფოდ ექცია. ეს მატიანეში შემონახული ფაქტებია. ხოლო დათო ტურაშვილის ახალ რომანში - ,,ტყეების მეფე” (რომელიც თავდაპირველად კინოსცენარი იყო და რომლის მიხედვითაც დიდ მეფეზე ფილმი უნდა გადაეღოთ) - ერთმანეთშია გადახლართული ლეგენდები და ისტორიული ცნობები და უდიდესი ქართველი მეფის წინააღმდეგობრივ ხასიათს,მის ახლო გარემოცვასა და ისტორიული ფაქტების განსხვავებულ ვერსიებს გვაცნობს.

წიგნში მოთხრობილია სელჩუკების შემოსევაზე საქართველოში. ამ დროს საქართველოს მეფის გიორგი II-ის ძეს, უფლისწულ დავით ბაგრატიონს თოთხმეტი წელი უსრულდებოდა. იგი თავის ძუძუმტეებთან ერთად იზრდებოდა ტყეებით დაბურულ და სელჩუკებით აოხრებულ საქართველოში. მამამისი წარუმატებელი მეფე გახლდათ . მას არ სურდა ტახტის დათმობა თავისი ვაჟისთვის. ყველა ურჩევდა, მათ შორის გიორგი ჭყონდიდელიც, რომ საქართველოს მმართველობა გადაეცა დავითისთვის. საბოლოოდ, 1189 წელს გიორგი მეფემ დათმო მეფობა და 16 წლის დავითს გადაეცა საქართველოს მეფის ადგილი. მეფემ ძუძუმტეეები შულია და ბივრიტელი,მთავარსარდალი გიორგი ჭყონდიდელი, მინდობაი არაბიძე, ღიპიანი გორდო, თბილისელები ღიშპანელი და მაისა.

მეფე იერთებდა სხვადასხვა ჯარებს. ვის არ თხოვდა დახმარებას. ნელნელა შეიკრიბა პატარ-პატარა ჯარებისგან, ქართველებისთვის აურაცხელი ჯარი, მამაცი, ერთგული და თავდადებული ვაჟკაცებისგან.

პრეზენტაციის ბოლოს გაიმართა დისკუსია,რომელშიც მოსწავლეებთან ერთად აქტიურად ჩაერთვნენ მასწავლებელები.

პედაგოგი ნინო როინიშვილი.

სკოლა ანაბასისის ლიტერატურულ სალონში მორიგი შეხვედრა გაიმართა,სადაც მეექვსე კლასის მოსწავლეებმა თავიანთი საყვარელი წიგნების შესახებ საინტერესო პრეზენტაციები წარმოგვიდგინეს. მეხუთე კლასის მოსწავლეებმა ანი მახათაძემ და ანა ჩუბინიძემ ისაუბრეს ჩარლზ დიკენსის "ოლივერ ტვისტის" შესახებ და მეგობრებს თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს.

მე-19 საუკუნის გამოჩენილი ინგლისელი მწერლის, ჩარლზ დიკენსის რომანი „ოლივერ ტვისტი“ მსოფლიო ბესტსელერია. წიგნში მოთხრობილია ლონდონში მცხოვრები პატარა, ობოლი ბიჭის, ოლივერ ტვისტის თავგადასავალი. ბოროტი ადამიანების გამო ოლივერი მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა თავშესაფარში მოხვდება, სადაც მეტად ცუდ პირობებში უწევს ცხოვრება. გულქვა ზედამხედველებისგან უკიდურესად შევიწროებული ბიჭუნა იძულებული გახდება, ლონდონში გაიქცეს. ამ ქალაქში იგი ქურდი ბიჭების გარემოცვაში აღმოჩნდება... თუმცა, ამქვეყნად გულისხმიერი ადამიანებიც ხომ არსებობენ?! სწორედ მათი დახმარებით, ოლივერის ფათერაკებით სავსე თავგადასავალი საბოლოოდ მაინც კეთილად სრულდება.

2019 წლის 18 თებერვალს სკოლა ანაბასისში შედგა მეოთხე ა კლასის "ნორჩ მკითხველთა" კლუბის მორიგი შეხვედრა.კლუბის წევრებმა წაიკითხეს ნოდარ დუმბაძის "მე,ბების,ილიკო და იოლარიონი".

ნაწარმოების გააზრების შემდეგ დაწერეს თავისუფალი თემა "ჩემი ბებია" და თავიანთი ინტერპრეტაციით გამოხატეს სიყვარული და პატივისცემა ბებოს მიმართ.პედაგოგი შორენა მუმლაძე

დიფერენცირებული სწავლების მიდგომების გამოყენება სასწავლო პროცესს მოსწავლეებისთვის საინტერესოდ და მიმზიდველად აქცევს.

დიფერენცირებული სწავლების ერთერთი ინსტრუმენტია სასწავლო გაჩერებები,აღნიშნული სტრატეგიით ჩატარებულმა გაკვეთილმა სკოლა ანაბასისის X კლასში, თემაზე: "რეაქციის სიჩქარეზე მოქმედი ფაქტორები", მოსწავლეებში დიდი დაინტერესება გამოიწვია.

სასწავლო გაჩერებებზე: ექსპერიმენტი,საინტერესო ინფორმაცია,რეაციის სიჩქარის პრაქტიკული მაგალითები,ვიდეო რგოლი-გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა სწავლის სხვადასხვა სტილი და ინტერესები.მცირე რესურსებმა საშუალება მისცა მოსწავლეებს აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში და მიეღწიათ დასახული მიზნისთვის.

პედაგოგი ქეთევან ედიბერიძე

"უსაფრთხო ინტერნეტი"-ასეთი სახელწოდების პრეზენტაცია გამართეს ანაბასისის მეოთხე კლასის მოსწავლეებმა "მე და საზოგადოების" გაკვეთილზე,სადაც საინტერესოდ და არგუმენტირებულად ისაუბრეს ინტერნეტის დადებით და უარყოფით მხარეებზე. მათ კომიქსებით წარმოადგინეს საინფორმაციო ბროშურები ინტერნეტის საფრთხეებზე. პედაგოგი თეა სამხარაძე

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიამ საქართველოს ანექსია და ოკუპაცია მოახდინა. ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვას რამდენიმე ათასი მებრძოლი ემსხვერპლა. სწორედ ამ გმირების ხსოვნას მიუძღვნეს სკოლა ანაბასისის მეშვიდე კლასის მოსწავლეებმა ისტორიის პედაგოგის ნინო როინიშვილის ხელმძღვანელობით საინტერესო პრეზენტაცია სახელწოდებით : "ჩვენ გვახსოვს 25 თებერვალი"

მოსწავლეებმა გაიხსენეს 1921 წლის სისხლიანი თებერვლის ქრონიკები ...ისაუბრეს ქართველ გმირ მამულიშვილთა გმირობასა და თავდადებაზე, ახალგაზრდა იუნკრებზე. პრეზენტაციის დასასრულს წაიკითხეს ლექსი „1921 წლის 25 თებერვალი“

გაზაფხულად ამღერებული სიყვარული მოგვიტანეს დღეს ანაბასისის მეოთხე კლასის მოსწავლეებმა რევაზ ინანიშვილის ლიტერატურულ საღამოზე "ნამცეცებად გაბნეული სიკეთის ამონაკვესი".პედაგოგი ლეილა გიორგაძე.

სკოლა ანაბასისის მეათე კლასში ჩატარდა გასვლითი გაკვეთილი ქიმიაში შპს"ჯორჯიან მანგანეზის" ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში.პედაგოგი ქეთევან ედიბერიძე

სკოლა ანაბასისი VI ა კლასის მოსწავლეებმა ბიბლიოთეკაში ჩაატარეს წიგნის "მსოფლიო საოცრებები" - განხილვა. ილუსტრირებული წიგნის საშუალებით ბევრი ახალი და საინტერესო ინფორმაცია გაიგეს თანამედროვე ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ, გაიმდიდრეს ცოდნა, რასაც გამოიყენებენ პროგრამული მასალის შესწავლის დროს.ხელმძღვანელი თამარ გვალია.

გუნდური ინტელექტუალური თამაში " ტვინების ბრძოლა" სკოლა ანაბასისის მოსწავლეებს შორის ძალზე დაძაბულ და საინტერესო ვითარებაში წარიმართა.პედაგოგები თეა სამხარაძე და ნინო როინიშვილი

ანაბასისის IIა კლასში დედის დღისადმი მიძღვნილი გაკვეთილი ბუნებაში თემაზე"დედის კალთას გამობმული დედამიწა ბრუნავს" ძალიან საინტერესოდ წარიმართა.გაკვეთილს დირექციის წარმომადგენლებთან და პედაგოგებთან ერთად ესწრებოდნენ მშობლებიც,რომლებმაც გაკვეთილის დასასრულს საოცრად თბილი და სიყვარულით გამთბარი მილოცვა მიიღეს პატარებისგან. პედაგოგი მარინა ჭულუხაძე

„ყველა სიკეთის დედაა ქალი ...

ქალი სიცოცხლის ჯადოქარია“

2019 წლის 7მარტს ასე აღნიშნეს დედის დღე და გაზაფხულის შემობრძანება სკოლა ანაბასისის IIIგ კლასის მოსწავლეებმა.

მასწავლებლები: ეკა ჯიმშიაშვილი, ლანა ჩუბინიძე.

ანაბასისში უკვე რამდენიმე წელია აღინიშნება 21 მარტი -დაუნის სინდრომით დაავადებულთა მსოფლიო დღე.

მკვლევართა კლუბის წევრები წელსაც საინტერესო პრეზენტაციით წარსდგნენ აუდიტორიის წინაშე.

პრეზენტაციის ბოლოს კლუბის წევრებმა მათ მიერვე შექმნილი საინფორმაციო ბუკლეტები დაარიგეს.

პედაგოგები ქეთევან ედიბერიძე და თამარ ბაქრაძე

VI ა და VI ბ კლასის მოსწავლეთა შემაჯამებელი პრეზენტაცია ისტორიაში თემაზე "აფხაზეთი" ძალიან საინტერესო ვითარებაში წარიმართა.

პედაგოგი ნინო როინიშვილი

2019 წლის 23 მარტს სკოლა ანაბასისი ხელოვნების პედაგოგის ნანა გიორგაძის ხელმძღვანელობით შეუერთდა ლეონარდო და ვინჩის გარდაცვალებიდან 500 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა ციკლს და ესტუმრა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმს, სადაც ერთ საექსპოზიციო სივრცეში იყო გამოფენილი მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში დაცული ლეონარდო და ვინჩის 17 ფერწერული ნამუშევრის რეალური ზომისა და მაღალი რეზოლუციის ციფრული რეპროდუქციები.

მოსწავლეები აღფრთოვანებულნი დარჩნენ მულტიმედიური საგანმანათლებლო პროექტის „ლეონარდო - Opera Omnia", ანუ „წარმოუდგენელი გამოფენა"-ს ხილვით, რომელიც ხელოვნებასა და ტექნოლოგიებს, წარსულსა და მომავალს ერთმანეთთან აკავშირებს.

საინტერესო და შთამბეჭდავი იყო ლეონარდოს ფერწერული ნამუშევრების ციფრული რეპროდუქციების ერთ სივრცეში აღქმა,რომელმაც ანაბასისელებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა...

2019 წლის 23 მარტს ლეონარდო და ვინჩის ნამუშევრების დასათვალიერებლად ჩასულმა ანაბასიელებმა ეროვნული მუზეუმი სრულად დაათვალიერეს,სადაც თავმოყრილია მრავალი კოლექცია: ევრაზიაში აღმოჩენილი უძველესი ადამიანის ნაშთები, უნიკალური არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები, ბუნების ისტორიის ამსახველი მასალა, ქრისტიანული კულტურის მდიდარი მემკვიდრეობა – ჭედური და ფერწერული ხატები, ჯვრები, ნაქარგობა, ტიხრული მინანქარი; პირველხარისხოვანი აღმოსავლური ძეგლები, ნუმიზმატიკის მდიდარი კოლექცია, ოქროსა და ვერცხლის ნატიფი სამკაულები ანტიკური კოლხეთიდან, სხვადასხვა დროის ქართველი და ევროპელი მხატვრების შესანიშნავი ნამუშევრები.

ქვეყნის წარსულის , ისტორიის, ხელოვნების, ბუნების, მდიდარი ფლორისა და ფაუნის ხილვით აღფრთოვანებული ანაბასისელები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ,რომ საქართველო ღირსეულად დგას კულტურათა გზაჯვარედინზე და თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

მ ეორე კლასელები სტუმრად ლიტერატურულ სალონში. პატარებმა საინტერესოდ წარმოადგინეს მათთვის სასურველი ნაწარმოებები და იმსჯელეს მის გარშემო. პედაგოგი თამარ ვეფხვაძე

„ ზღაპარი არასოდეს კვდება“ და მასთან ერთად ცოცხლობს ცნობილი მეზღაპრის ჰანს ქრისტიან ანდერსენის ხსოვნაც...

ს პს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში ტრადიციად დამკვიდრდა საბავშვო წიგნის დღის აღნიშვნა. ანაბასისის I გ კლასის მოსწავლეები ესტუმრნენ სკოლის ბიბლიოთეკას, სადაც მათ დახვდათ საბავშვო წიგნების გამოფენა. კლასის ხელმძღვანელმა ჟანა ჭურაძემ და ბიბლიოთეკის გამგემ თამარ გვალიამ ბავშვებს შესთავაზეს წაეკითხათ ცნობილი ზღაპარი „თოვლის დედოფალი“. ზღაპრის წაკითხვის შემდეგ პატარებმა გაიხსენეს მათთვის საყვარელი ზღაპრები და ერთმანეთს გაუზიარეს შთაბეჭდილებები...შეხვედრის ბოლოს მოსწავლეებმა ნახეს ანიმაციური ფილმი „ თოვლის დედოფალი“ და კმაყოფილები დაბრუნდნენ თავიანთ კლასში.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იუბილისადმი გამოცხადებული პროექტის ფარგლებში სკოლა ანაბასისში მეშვიდე კლასის მოსწავლეთა და მათი ხელმძღვანელის ნინო როინიშვილის ორგანიზებით მოეწყო პრეზენტაცია სახელწოდებით "ჩვენ გვახსოვს 9 აპრილი"; მოხდა დოკუმენტური ფილმის " 1989 წლის 9 აპრილი" ჩვენება.

ანაბასისელებმა პრეზენტაციით - თავისუფლებისკენ სვლის დაწყება გაიხსენეს, 30 წლის წინანდელი საბჭოთა საქართველო, საქართველოს ხალხის დიდი ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა და ტრაგედია, რომელიც ისტორიაზე თავისი გავლენის მიუხედავად იმ დროს სხვა საქართველოსთვის თავგანწირვა იყო.

ზუსტად 30 წლის წინ, მაშინ ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში შემზარავი ტრაგედია დატრიალდა. 1989 წლის 9 აპრილს გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქცია დაარბიეს. დაღუპულებს შორის უმეტესობა ქალები იყვნენ, მათ შორის სკოლის მოსწავლეებიც; ამას გარდა იყვნენ დაჭრილები, დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოიწამლა 2000-ამდე პირი. 1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად ორი წლისთავზე საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო, 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაეწერა ტრაგედიის და ამავდროულად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა "ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდამ იწყება, როცა იგი თვისს ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისის წარსულისა, თავისის ყოფილის ცხოვრებისა...". და მართლაც ეს ყველაფერი ხომ ასეა " აწმყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მერმისისაო".

პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია,სადაც მოსწავლეებმა ისაუბრეს საქართველოს ისტორიაში 1989 წლის 9 აპრილის როლსა და მნიშვნელობაზე.პედაგოგი ნინო როინიშვილი.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის იუბილისადმი გამოცხადებული პროექტის ფარგლებში სკოლა ანაბასისის მოსწავლეებმა 9 აპრილს მოაწყვეს მშვიდობიანი მსვლელობა , გმირთა მემორიალთან დაანთეს სანთლები, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 1989 წლის 9 აპრილს გამთენიისას თბილისში, რუსთაველის გამზირზე, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო ნაწილების მიერ მშვიდობიანი საპროტესტო აქციის დაარბევის დროს დაღუპულებს ,რომელთა შორის უმეტესობა ქალები იყვნენ, მათ შორის სკოლის მოსწავლეებიც;

მემორიალთან მოსწავლეებმა ისაუბრეს საქართველოს ისტორიაში 1989 წლის 9 აპრილისა და 1991 წლის 9 აპრილის როლსა და მნიშვნელობაზე.პედაგოგები ნინო როინიშვილი, თეა სამხარაძე, გიორგი ქლიბაძე.

2019 წლის 16 აპრილს სკოლა "ანაბასისის" II ა კლასის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი მ.ჭულუხაძე) წარმოადგინეს პროექტის - "მტრობა ენისა არის მტრობა ქვეყნისა"- პრეზენტაცია .

ჩვენი ენა ჩვენი ქვეყნის ისტორიაა-აღნიშნეს მათ, ესაა ენა დიდი დავითისა და მეფეთმეფე თამარისა,დავით გურამიშვილისა და ხანძთელისა, ამაგდარი სულხან-საბასი,ილია მართლისა და სხივნათელი აკაკისი, ენა შოთას "ვეფხისტყაოსნით" მოჩუქურთმებულ-მოვარაყებული.

მოწონება დაიმსახურა საპრეზენტაციო კუთხემ, რომელზედაც ასახული იყო მათ მიერ მოძიებული ინფორმაციები და გზა ქართული ანბანისა დასაბამიდან დღემდე.

ფიცივით გაისმა ღონისძიების ბოლოს მათი სიტყვები-"ო, ენავ, კურთხეულო და მადლიანო, ჯიშიანო და ძარღვიანო,ჩემო სისხლო და ხორცო, ენავ ჩვენი შთაგონებისა, ვიჩოქებ შენი სიდიადის წინაშე და არასოდეს მოგვბეზრდება შენი მოფერება".

დასასრულს კლასის ხელმძღვანელმა მის მიერ გოგებაშვილის დედაენიდან ამოკრებილი ლექსები და მოთხრობები ერთ წიგნად აკინძულ სიურპრიზად გადასცა მოსწავლეებს, მასში შეტანილ მოთხრობებს მთელი კვირის განმავლობაში წაიკითხავენ და გაანალიზებენ პატარები.

ღონისძიება შესანიშნავი მუსიკალური ნომრებით იყო გაფორმებული(მუსიკის მასწავლებელი თ.მიქაბერიძე)

16 აპრილს მე- 5 ა კლასში (პედაგოგი ელისო ბერაძე) ჩატარდა ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი სიმულაციური მეთოდის გამოყენებით.მოსწავლეებმა სასწავლო პროცესის გახალისებისა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარების მიზნით წარმოადგინეს იმიტირებული სასამართლო პროცესი ვაჟა-ფშაველას ,,შვლის ნუკრის ნაამბობის“მიხედვით.ბავშვებმა ხალისით მოირგეს მოსამართლის, პროკურორის, ბრალდებულის (მონადირე), ბრალმდებლის(შვლის ნუკრი), ადვოკატების, ჟურნალისტების, მოწმეების, ბადრაგების როლები. მათ საშუალება მიეცათ,გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ცხოველთა დაცვის,ადამიანთა სისასტიკის,მიმტევებლობის მიმართ,გულწრფელად გამოხატეს თავიანთი ემოციები.მონაწილეებმა შეასრულეს თავიანთი როლები წინასწარ შემუშავებული ინსტრუქციების შესაბამისად,კლასის თითოეული მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

როლური თამაშის შემდეგ მოსწავლეებმა დაასრულეს მოქმედება,გამოვიდნენ როლიდან , გამოთქვეს მოსაზრებები,თუ რა შეიძინეს,რა ისწავლეს,რა იყო პოზიტიური თუ ნეგატიური მუშაობის პროცესში.ბოლოს მასწავლებელმა და მოსწავლეებმა ერთად შეაფასეს მუშაობის შედეგები და გამოთქვეს სურვილი, კვლავაც მიმართონ სიმულაციურ მეთოდს,როგორც თვითრეფლექსიის,კომუნიკაციური ,ემპათიისა და ტოლერანტობის უნარების განვითარების ეფექტურ საშუალებას.

ს კოლა ანაბასისში ზღაპარქალაქი გაიხსნა. V ბ კლასის მოსწავლეებმა გ.პეტრიაშვილის ლიტერატურული ზღაპრების მიხედვით შექმნილ სამყაროში გვამოგზაურეს. მათ აღნიშნეს,რომ ზღაპრის მოსასმენი თვალი და ყური სჭირდება ადამიანს ყველაზე უცნაური ამბების დასაჯერებლად. კარგი იქნება იმრავლონ "ცისფიქრიანმა" ადამიანებმა ჩვენს ქალაქში,რათა არ იფეთქოს ჩემოდნების ეპიდემიამ.

ღონისძიება დასრულდა მოწოდებით - ცისფერი პეპლების ცისფერ ნათებას უმზირეთ და გაუღიმეთ ერთმანეთს. პედაგოგი მარეხი ფორჩხიძე

22 აპრილი დედამიწის საერთაშორისო დღეა!

მკვლევართა კლუბის წევრებმა შექმნეს და დაარიგეს საინფორმაციო ბუკლეტები საზოგადოების ეკოცნობიერების ამაღლების მიზნით და სკოლის ეზოში მოაწყვეს გამწვანების აქცია.

მეთორმეტე კლასის მოსწავლეების (ხელმძღვანელი თეონა კაკალაძე) მიერ შემენილი რამდენიმე მრავალწლოვანი მცენარის დარგვით საფუძველი ჩაეყარა ტრადიციას "დარგე ხე -გაამწვანე შენი სკოლის გარემო". ახალშენების მოვლაზე პასუხისმგებლობა პატარა აღსაზრდელებმა საკუთარ თავზე აიღეს.

გ ვ ა ხ ს ო ვ დ ე ს !!! მწვანე საფარი დედამიწის ფილტვებია!

კლუბის კურატორები ქეთევან ედიბერიძე და თამარ ბაქრაძე.

ს კოლა ანაბასისის V ა კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ს პექტაკლი „ ნ ო ე ს კ ი დ ო ბ ა ნ ი“ (კლასის ხელმძღვანელი თეა მიქაბერიძე); სპექტაკლში ორიგინალურად იყო წარმოდგენილი ნოეს მიერ ბიბლიური კიდობანის აგების ამბავი, რომელშიც ნოემ თავის ჯალაბობასთან ერთად წყვილ-წყვილად მოათავსა ყველა ცხოველი და ფრინველი , რათა ეხსნა ისინი წარღვნისგან. სპექტაკლი გაფორმებული იყო მსოფლიო კომპოზიტორთა მუსიკალური შედევრებით.ხელმძღვანელი თეა მიქაბერიძე.

ანაბასისის სკოლის საჭადრაკო ჩემპიონატის გახსნას მიესალმება სკოლის დირექტორი ქალბატონი ქეთევან ედიბერიძე,რომელმაც გამარჯვებულებს იგელები გადასცა.პედაგოგი ვიოლეტა შეყილაძე.

23 აპრილი წიგნის ჩუქების დღედ დაწესდა, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის, გიორგი კეკელიძისა და „ანაგრამას“ ინიციატივის მიხედვით. #აჩუქეწიგნი – ეს კამპანიის მთავარი გზავნილი იყო.

ინიციატივის მთავარი მიზანი, ქვეყანაში წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაციაა.

„23 აპრილს, მსოფლიოში, წიგნთან და წიგნიერებასთან რამდენიმე მოვლენა ერთად არის დაკავშირებული: ეს არის წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე, შექსპირისა და სერვანტესის გარდაცვალების დღე. ვიფიქრეთ, იქნებ, სწორედ ამ დღეს დაგვეწესებინა ძალიან ძვირფასი და თანაც, მარტივი ტრადიცია – წიგნის ჩუქების დღე. წიგნის ჩუქება ყველა საჩუქარს ერთად მოიცავს: ცოდნასაც და განცდასაც, სიხარულსაც და ტკივილის გაძლების სწავლსაც, ნივთს, ჩაფიქრებას, დაკვირვებას, ამ დაკვირვებით გაკვირვებას. წიგნი კაცობრიობის მეხსიერების ჯამია, ისეთივე გამოცდილება, როგორიც მე და შენ გვაქვს. ამ ინიციატივის მიზანია წიგნისა და წიგნიერების პოპულარიზაცია. ეროვნული ბიბლიოთეკის მთავარი ფუნქციაც ხომ სწორედ ეს არის“, – ამბობს გიორგი კეკელიძე.

სკოლა ანაბასისის თითქმის ყველა კლასი აქტიურად გამოეხმაურა აღნიშნულ ინიციატივას. ანაბასისელებმა მათთვის საყვარელი წიგნები აჩუქეს მეგობრებს და ძვირფას საჩუქართან ერთად ყურადღება, სითბო და სიყვარული გაუნაწილეს ერთმანეთს

"რაც უფრო მეტ წიგნს წავიკითხავთ, მით უკეთესად ვუგებთ ცხოვრებასა და ადამიანებს, მით უფრო მრავალფეროვანს ვხდით საკუთარ სამყაროს. სწორედ იმიტომაც არის წიგნი საუკეთესო საჩუქარი, მასში დაგროვილ სიბრძნეს სხვებს გადავცემთ და მათაც ვამდიდრებთ".

ს ააღდგომო საქველმოქმედო აქცია-ანაბასისში უკვე რამდენიმე წელია ტრადიციულად იმართება საქველმოქმედო აქცია, პროექტ "გავუთბოთ ერთმანეთს გულების" ფარგლებში , რომლის დევიზია:" ჩვენ ყველასთან მივალთ ვისაც ვჭირდებით".

პროექტი მიზნად ისახავს დახმარების ხელი გავუწოდოთ და გული გავუთბოთ მათ, ვისაც ეს ძალიან სჭირდება.

ს კოლა ,,ანაბასისის" მე-3ა კლასში 8მაისს ჩატარდა გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილი-შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდით. თემა:სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი ,,დაყვედრება ტყვეობაზე უარესია'' გაკვეთილმა მიზანს მიაღწია!-პედაგოგი ხათუნა წითელაშვილი.

პრ ეზენტაცია მე5 ა კლასში-,,ჩემი საყვარელი ნივთი"(სკოლა,,ანაბასისი")შთაგონება__ლინდა მალალი ჰანთი _,,თევზი ხეზე"-პედაგოგი ელისო ბერაძე

23 აპრილს წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, „ანაბასისის“ VI ბ კლასის მოსწავლეებმა სკოლის ბიბლიოთეკაში მოაწყვეს ლიტერატურული საღამო თემაზე: „ჩვენი სახელოვანი წინაპრები“და განიხილეს გრიგოლ აბაშიძის ისტორიული ტრილოგიის მესამე წიგნი „ცოტნე ანუ ქართველთა დაცემა და ამაღლება“.შესაბამისი თემატიკის ლექსებითა და ლიტერატურული კომპოზიციებით მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირები.საღამოს ორგანიზატორი: ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი თამარ გვალია და ისტორიის მასწავლებელი ნინო როინიშვილი.

ს კოლა ანაბასისის III გ კლასის პედაგოგი ეკა ჯიმშიაშვილი დაჯილდოვდა კინგსის ოლიმპიადაში მოსწავლეების წარმატებული მონაწილეობისა და საკუთარი სკოლის განვითარებაში წვლილის შეტანისათვის .

2019 წლის 7 მაისს სკოლა ანაბასისის VIII კლასში ჩატარდა პროექტი სახელწოდებით ,,save water, save life". მოსწავლეებმა ორიგინალურად წარმოადგინეს პრეზენტაცია წყლის რესურსის შესახებ, როგორც დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რესურსზე .

პროექტი მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობით გამოირჩეოდა და ძალზე საინტერესოდ წარიმართა.

პედაგოგები თეონა კაკალაძე და დიანა მუმლაძე

2019 წლის 8 მაისს სკოლა ანაბასისის IV ა კლასში ჩატარდა სამოდელო ინოვაციური გაკვეთილი სასწავლო გაჩერებებით ბუნებისმეტყველებაში თემაზე "წყალი და წყლის ბრუნვა".

ყველა მოსწავლემ გაიარა სასწავლო გაჩერებები: ვიდეო ფილმის ჩვენება, სიტუაციური ამოცანის გადაწყვეტა, დიაგრამის შევსება, ექსპერიმენტის ჩატარება;

გაჩერებების გავლის შემდეგ მოსწავლეებმა წარმოადგინეს საინტერესო პრეზენტაციები.

გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.პედაგოგი შორენა მუმლაძე.

2019 წლის 8 მაისს სკოლა ანაბასისის III ა კლასში ჩატარდა გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილი-შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდით თემაზე:სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი ,,დაყვედრება ტყვეობაზე უარესია''.

გაკვეთილმა მიზანს მიაღწია.გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.პედაგოგი ხათუნა წითელაშვილი

2019 წლის 24 აპრილს სკოლა ანაბასისის VIII კლასში ჩატარდა ხელოვნებასთან ინტეგრირებული სამოდელო გაკვეთილი მუსიკაში თემაზე:"ბაროკო".

გაკვეთილის მიზანი:

• მოსწავლეები გააანალიზებენ და ერთმანეთს დაუკავშირებენ მხატვრებისა და მუსიკოსების შემოქმედებას.

• მოსწავლეები შეძლებენ ბაროკოს ეპოქის კომპოზიტორებისა და მხატვრების შემოქმედების განხილვას მოსმენილი ნაწარმოების მიხედვით.

• მოსწავლეები შეძლებენ მუსიკალური ნაწარმოების და ხელოვნების ნიმუშის ერთმანეთთან დაკავშირებას და გამოთქვამენ ვარაუდს.

• მოსწავლეები იმსჯელებენ და სწორად ახსნიან, თუ როგორაა მუსიკა ინფორმაციისა და კომუნიკაციის საშუალება.

• მოსწავლეები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და იმსჯელებენ ნახატში გამოყენებული ობიექტების კომპოზიციურ განაწილებაზე.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით და მიზანს მიაღწია.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

პედაგოგი თეა მიქაბერიძე.

14 მაისს სკოლა ანაბასისის ლიტერატურული კლუბის წევრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბიბლიოთეკო კვირეულში. ისინი გოდერძი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებით წარსდგნენ მაყურებლის წინაშე და დიდი მოწონება დაიმსახურეს. კლუბის კურატორი მარეხი ფორჩხიძე.

22 მაისი! ბაღის ფრინველთა საათი საქართველოში!

ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან ღონისძიებაში სიხარულით მიიღეს მონაწილეობა სკოლა "ანაბასისისა" და #2 საჯარო სკოლის მე–7 და მე–8 კლასის მოსწავლეებმა. ამ ღონისძიებამ გარდა იმისა რომ კონკრეტულ მიზანს ემსახურებოდა, რასაც ნამდვილად მიაღწიეს მოსწავლეებმა, ასევე საფუძველი ჩაუყარა ორი სკოლის მოსწავლეთა დამეგობრებას. მსგავსი ტიპის ღონისძიებებში კიდევ არაერთხელ მიიღებენ მონაწილეობას ჩვენი სკოლის მოსწავლეები და უფრო მეტად გაიმრავალფეროვნებენ სასწავლო პროცესს.

2019 წლის 11 მაისს თბილისის სახელწიფო კონსერვატორიის დარბაზში სკოლა ანაბასისის

მომღერალთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების V ეროვნული კონკურსის მეორე ტურში (გუნდი-b-3 კატეგორია; გაერთიანებული გუნდი;6-18 წელი).

ზესტაფონი / სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისის მომღერალთა გუნდი „ანაბასისი“ / ქორმაისტერი: თეა მიქაბერიძე / კონცერტმაისტერი: ნატალია რობაქიძე / აკადემიური საგუნდო სიმღერა / მეორე ადგილი და ლაურეატის წოდება.

ვულოცავთ ღირსეულ გამარჯვებას ქალბატონ თეა მიქაბერიძეს და ანაბასისის მომღერალთა გუნდის წევრებს.

2019 წლის 23 მაისს სკოლა ანაბასისის VIII კლასში ჩატარდა პრობლემაზე ორინტირებული სამოდელო გაკვეთილი ინგლისურ ენაში თემაზე: „The Importance of Healthy Food (ჯანსაღი საკვების მნიშვნელობა)“.

გაკვეთილის მიზანი:

• მოსწავლეებს განუვითარდებათ პრობლემის გამოვლენის და მისი გადაჭრის უნარი

• მოსწავლეები წაიკითხავენ და გაიაზრებენ ტექსტს, შეძლებენ საუბარს ტექსტში განხილულ პრობლემაზე და მისი გადაჭრის გზებზე

• მოსწავლეები იმსჯელებენ ჯანსაღი საკვების მნიშვნელობაზე ნასწავლი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით. მასწავლებლის მიერ წინასწარ მოძიებული ვიდეოს ნახვის შემდეგ, ჩამოაყალიბებენ რა დადებითი/ უარყოფითი გავლენა აქვს ჯანსაღ/არაჯანსაღ საკვებს ადამიანის ჯანმრთელობაზე

• სხვადასხვა საკვების მიხედვით მისცემენ რჩევას კლასელებს should/shouldn't მოდალური ზმნების გამოყენებით

• მოსწავლეები შექმნიან ჯანსაღი საკვების მენიუს, შემდეგ კი მოახდენენ მათ პრეზენტაციას.

მოსწავლეები გაკვეთილის შედეგად მიღებულ ინფორმაციას გამოიყენებენ მთელი ცხოვრების განმავლობაში, მოახდენენ ჯანსაღი კვების პოპულარიზაციას.

მოსწავლეებმა შეძლეს სწორად დაეხარისხებინათ ჯანსაღი და არაჯანსაღი საკვები, იმსჯელეს ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე.

გაკვეთილი წარიმართა საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით და მიზანს მიაღწია.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

პედაგოგი თეონა კაკალაძე.

,,ანბანთქება"სკოლა ანაბასისის Iა კლასში. ა-ნიდან ჰა-ემდე მძივებად ასხმულო,ბულბულის ენაზე ნამღერო გალობავ! ღონისძიების ორგანიზატორები:ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი თამარ გვალია და Iა კლასის ხელმძღვანელი თეა გურაბანიძე.

2019 წლის 24 მაისს სკოლა ანაბასისის IV ბ კლასში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილი ქართულში თემაზე: "მოხეტიალე მუსიკოსი" (რევაზ ინანიშვილი)

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით და მიზანს მიაღწია.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

პედაგოგი ლეილა გიორგაძე.

2019 წლის 27 მაისს სკოლა ანაბასისის IV ა კლასში ჩატარდა გამჭოლ კომპეტენციებზე ორიენტირებული სამოდელო გაკვეთილი ქართულში თემაზე: " ორშაბათი მძიმე დღეა" (მარკ ტვენის "ტომ სოიერის თავგადასავლიდან")

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით და მიზანს მიაღწია.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი. პედაგოგი შორენა მუმლაძე.

„გმირების სისხლი შინდისფრად ყვაოდა შინდისთან“...

ასეთი სახელწოდებით წარმოგვიდგინეს 2019 წლის 29 მაისს სკოლა ანაბასისის V ბ კლასის მოსწავლეებმა ლიტერატურული საღამო , რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ შინდისთან გმირულად დაღუპულ ვაჟკაც ქართველ მებრძოლთა ხსოვნას მიეძღვნა...

მათი ამბავი არაა შეთხზული , ესაა გმირობის რეალური ისტორია - თუ როგორ შეეწირნენ ქართველი ჯარისკაცები 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ ჩასაფრებულ მტერს, როგორ არ შეეპუენ და როგორ იბრძოლეს ტყვია-წამლის გამოლევამდე...

ისინი შინდისის გმირების სახელით შევიდნენ ისტორიაში, გმირები, რომლებმაც ისტორია ერთ დღეში დაწერეს. ეს არის სამშობლოსათვის შეწირული სიცოცხლე და სიკვდილი, რომელიც უკვდავებად იქცა.

მოსწავლეებმა ისაუბრეს ქართველი მებრძოლი ვაჟკაცების გმირობის შესახებ ,პატივი მიაგეს მათ ხსოვნას და ღონისძიების დასასრულს აღნიშნეს,რომ სწორედ თავად არიან ის თაობა, რომელთაც ეამაყებათ თავიანთი ქართველობა, ჯიში, გენი და გმირული წარსული...

„ ჩვენი ვალია, ყოველთვის ღირსეულად მოვიხსენოთ იმქვეყნად წასული ქვეყნისთვის თავდადებული გმირები. იმათი წმინდა სულები ჩვენ დაგვტრიალებენ და ლოცულობენ ჩვენი ბედნიერებისათვის და სრულიად საქართველოს გაძლიერებისათვის.

ჩვენი ვალია, ღირსეულად გავაგრძელოთ წინაპართა მემკვიდრეობა და ჩვენი სწავლითა და წარმატებებით ვასახელოთ ჩვენი ქვეყანა“-განაცხადეს ღონისძიების მონაწილეებმა.

კლასის ხელმძღვანელი თეა სამხარაძე

26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება . ზუსტად 101 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომლის დამოუკიდებლობა ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ცნეს, არსებობა არასრული სამი წლის თავზე, საბჭოთა რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო.

2019 წლის 27 მაისს „ანაბასისის“მე-7 კლასის მოსწავლეებმა ამ დღის აღსანიშნავად მოაწყვეს პრეზენტაცია.გაიხსენეს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული მოვლენები,საგარეო და საშინაო ფაქტორები.მოისმინეს დოკუმენტური მასალები და გამართეს დისკუსია იმის შესახებ თუ რამდენად მნიშვნელოვანია იცხოვრო დამოუკიდებელ სახელმწიფოში.

პრეზენტაცია წარიმართა კლასის ხელმძღვანელისა და ისტორიის მასწავლებლის ნინო როინიშვილის მეთაურობით.

სკოლა ანაბასისში კლუბ “ანაბასისის ქიმიკოსების” და მკვლევართა კლუბების მიერ ორგანიზებულ იქნა კონფერენცია თემაზე მენდელეევის პერიოდული სისტემა და კანონი 150 წლისაა. კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნა საინტერესო მოხსენებები, დიდი მეცნიერის უცნობი ბიოგრაფიული ცნობები, რომელმაც აუდიტორიას გააცნო მენდელეევი, როგორც არა მარტო პერიოდულობის კანონის აღმომჩენი, არამედ როგორც ბევრი იდეების ავტორი. მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოადგინეს ინსცენირებები დიად აღმოჩენებზე. ღონისძიებაში ჩართული იყო VIII-IX-X-XI კლასის მოსწავლეები.

ხელმძღვანელები ქეთევან ედიბერიძე,მარინა ხუსკივაძე,თამარ ბაქრაძე

სკოლა ანაბასისში გაიმართა ჩემპიონატი მინი ფეხბურთში VI-VIII კლასის მოსწავლეებს შორის. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სიგელებითა და მედლებით.სპორტის პედაგოგი კობა სვიანაძე

საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციამ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის – საქართველოს „მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების“ პროექტის ფარგლებში, 25 მაისს მოსწავლეთა და მასწავლებელთა "ოქროს რიცხვი-2019"-ის დასავლეთ კონფერენცია ჩაატარა. კონფერენციას მასპინძლობდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კონფერენციაში 100-ზე მეტი მასწავლებელი და მოსწავლე მონაწილეობდა. წარმოდგენილი იყო ზეპირი და სტენდური მოხსენებები. სკოლა ანაბასისის ორი პროექტი შეირჩა საორგანიზაციო კომიტეტის მიერ კონფერენციაზე წარსადგენად::.1. ,,ჩვენი ჰაერი „ რომლის მიზანი იყოატმოსფერულ ჰაერში ექსპერიმენტული მეთოდით მტვრისა და მანგანუმის დიოქსიდის კონცენტრაციის განსაზღვრა, დაკვირვების წარმოება მონიტორინგის ჯიხურებში აზოტის (IV), გოგირდის (IV) ოქსიდების ,ნახშირბადის მონოქსიდის შემცველობაზე. მიღებული შედეგების შედარება ზღვრულად დასაშვებ რაოდენობასთან.2.პერიოდული სისტემა მაგნიტურ დაფაზე. პერიოდული სისტემა გადატანილ იქნა მაგნიტურ დაფაზე , გახდა იგი ადვილად აღქმადი , ხელმისწვდომი ,,„პრაქტიკულად გამოსაყენებელი“ , რომლის დახმარებითაც მოსწავლეები შეძლებენ ერთმანეთს დაუკავშირონ ელემენტის მდებარეობა, აღნაგობა და თვისებები,განსაზღვრონ მათ მიერ წარმოქმნილი ნაერთის, ფორმები და თვისებები. შესაძლებელია მისი გამოყენება სხვა საკითხების და საგნების შესასწავლად, არა მარტო ქიმიის გაკვეთილებზე. კონფერენციაზე მოსწავლეებმა საინტერესოდ, არგუმენტირებულად, დამაჯერებლად წარმოადგინეს თავიანთი მოსაზრებები, მიგნებები დასკვნები. კონფერენციიდან მომხსენებლის სერთიფიკატებით დაბრუნდნენ მე-10 კლასის მოსწავლეები: ქეთი ფანცხავა და მარიამ ჭანტურიძე, მე-11 კლასის მოსწავლეები: სანდრო სვიანაძე, ნინო ტალ;ახაძე, ქეთი ჯუღელი, ირაკლი მდინარაძე.(ისინი მკვლევართა კლუბისა და კლუბ ანაბასისის ქიმიკოსები წევრები არიან)პედაგოგი ქეთევან ედიბერიძე

სკოლა ანაბასისის ნორჩი მკვლევარები მეცნიერებთან ითანამშრომლებენ უნივერსიტეტში.

აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში ჩატარებული კონფერენცია ,,ოქროს რიცხვი“ წარმატებული აღმოჩნდა ანაბასისელი ნორჩი მკვლევარებისათვის. კონფერენციაზე მათ მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები გახდა სწორედ საფუძველი იმისა, რომ სკოლა ანაბასისი შერჩეულ ყოფილიყო აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის ქიმიური და გარემოსდაცვითი დეპარტამენტის მიერ ერთ-ერთ საუკეთესო კლუბად, რაც მოსწავლეებს საშუალებას მისცემს განახორციელონ სასკოლო ექსკურსიები და სრულფასოვანი კვლევები უნივერსიტეტის ლაბორატორიებში,შეხვდნენ მეცნიერ-თანამშრომლებს, მოისმინონ საინტერესო ლექციები.

პროექტების ხელმძღვანელი ქეთევან ედიბერიძე.

ცნობილი ქართველები მე 10 კლასის მოსწავლეთა მიერ მომზადებულ პროექტში სხვადასხვა დარგის გამოჩენილ თანამემამულეებზე. საინტერესო პრეზენტაციები მომზადდა და წარმოდგენილი იქნა რუსულ ენაზე. პედაგოგი მარინა კაპანაძე

"გამოჩენილი მეცნიერები"-ასეთი სახელწოდების პრეზენტაცია გამართეს ანაბასისის VII კლასის მოსწავლეებმა ინგლისურ ენაზე, სადაც საინტერესოდ წარმოადგინეს ინფორმაცია ცნობილ მეცნიერთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. დიანა მუმლაძე

2019 წლის 13 ივნისს სკოლა ანაბასისის V ბ კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი ბუნებაში თემაზე:" უს აფრთხოება ელექტრული დენით სარგებლობისას".

გაკვეთილის მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს:

. მასწავლებლის მიწოდებული ინფორმაციით, ვიდეო მასალით და ელექტრული ხელსაწყოებით- თუ როგორ წარმოიქმნება ელექტრული დენი

. ელექტრული მუხტები

. რა არის ელექტრობა

.ახალი მასალის უკვე ნასწავლ მასალასთან (ელექტრული წრედის) დაკავშირება.

. აფასებს ელექტრობის გამოყენებასთან დაკავშირებულ რისკებს და იცავს ყოველდღიურ ცხოვრებაში ელექტროხელსაწყოების უსაფრთხოდ გამოყენების წესებს.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით და მიზანს მიაღწია.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

პედაგოგი რუსუდან გურგენაშვილი.

სკოლა ანაბასისში გაიმართა კონკურსი ხელოვნებაში სახელწოდებით „შეისწავლე ხელოვნების ისტორია- გახდი გამარჯვებული".

კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად:

I ეტაპი - ტესტირება გაიმართა 2019 წლის 3 ივნისს.

II ეტაპი - გაიმართა 2019 წლის 7 ივნისს და შედგებოდა 2 ნაწილისაგან.

პირველ ნაწილში შედიოდა:

ა) ნახატების მიხედვით მიმდინარეობების ამოცნობა.

ბ) ეკრანიზაცია-ფილმის ნაწყვეტებიდან მხატვრის ან ფილმის სახელწოდების ამოცნობა.

გ) მოცემული ფრაგმენტის მიხედვით ხელოვნების ნიმუშის ამოცნობა.

მეორე ნაწილში შედიოდა:

ა) ბლიცი (20 კითხვა)

ბ) საფინალო კითხვები (შესაძლებელი იყო დარბაზის დახმარების გამოყენება)

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით. დაჯილდოვდნენ ასევე დარბაზში მსხდომნი, რომლებიც საფინალო კითხვების რუბრიკაში დახმარების სახით გასცეს სწორი პასუხი.

კონკურსში მონაწილეობდა VII-VIII – IX – X კლასის მოსწავლეები.

გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

პირველ ადგილი - მერვე კლასის მოსწავლე ელენე ჩუბინიძე;

მეორე ადგილი -მეათე კლასის მოსწავლე ნინი შერგელაშვილი;

მესამე ადგილი-მეათე კლასის მოსწავლე ქეთი ფანცხავა.

პრიზი გადაეცათ ასევე ხუთეულში გასულ მეათე კლასის მოსწავლეებს: ლიზი სამხარაძეს და ანა ჯაშიაშვილს.

კონკურსის მეორე ეტაპის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა მექანიკური ფანქრით.

კონკურსის ორგანიზატორი ხელოვნების პედაგოგი ნანა გიორგაძე.

ს კოლა ანაბასისის მერვე კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტ-გაკვეთილი თემაზე: "ბერძნული მითების სამყაროში",სადაც ისაუბრეს ბერძენი ფილოსოფოსების: დიოგენეს,სოკრატეს,პლატონის,არისტოტელეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

პროექტის ხელმძღვანელი მარეხი ფორჩხიძე

2019 წლის 13 ივნისს სკოლა ანაბასისის მერვე კლასში ჩატარდა სამოდელო გაკვეთილი ინგლისურ ენაში თემაზე: "Some Environmental problems" (გარემოსთან დაკავშირებული პრობლემები).

მიზანი:

ეკოლოგიური პრობლემების ინფორმაციის გაცნობით მოსწავლეები განიმტიკიცებენ პირობითი წინადადებების ფორმებს

• მოსწავლეები წაიკითხავენ და გაიაზრებენ ტექსტს, შეძლებენ საუბარს ტექსტში განხილულ გარემო პრობლემების შესახებ

• მოსწავლეები გაიგებენ ვიდეო რგოლის ჩვენებისას მოსმენილ ინფორმაციას და გამოიყენებენ ჯგუფურ მუშაობაში.

• მოსწავლეები ჯგუფური მუშაობისას განიხილავენ თუ როგორ შეუძლიათ დაეხმარონ გარემოს საკუთარ ქალაქში შემდეგ კი მოახდენენ მის პრეზენტაციას.

გაკვეთილი დატვირთული იყო საინტერესო და მრავალფეროვანი აქტივობებით და მიზანს მიაღწია.

გაკვეთილზე დაკვირვებას ახორციელებდა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

პედაგოგი თეონა კაკალაძე.

15 ივნისს,თბილისის, ილია ჭავჭავაძის, სახელმწიფო უნივერსიტეტის დარბაზში,გაიმართა კინგსის დაჯილდოება,სამ საგანში.რესპუბლიკის მასშტაბით,მათემატიკის ოლიმპიადის,მეექვსე კლასელთა შორის, მესამე ადგილის მფლობელი გახდა,ჩვენი სკოლის VI კლასის მოსწავლე ცოტნე ბუბულაშვილი, რომელიც დაჯილდოვდა სიგელით,მაგთის ერთწლიანი სრული მობილური სერვისით და საგზურით,კინგსის შემეცნებით-გასართობი ტური ანაკლიაში.

ვულოცავთ ცოტნეს ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ წარმატებებს!

2019 წლის 20 ივნისს სკოლა ანაბასისში მათემატიკის სასკოლო ოლიპიადის გამარჯვებულთა დაჯილდოება საზეიმო ვითარებაში წარიმართა.გამოვლინდნენ გამარჯვებულები,რომლებსაც დიპლომებთან ერთად გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. გამარჯვებულები დააჯილდოვა ოლიმპიადის ხელმძღვანელმა ბატონმა დავით ლაბაძემ. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა სკოლის მუსიკალურმა გუნდმა ქალბატონ თეა მიქაბერიძის ხელმძღვანელობით.

20-21 ივნისს,სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისში განიხილეს იმ მასწავლებლების პედაგოგიური პრ აქტიკის კვლევები ,რომლებიც წამყვანი მასწავლებლის სტატუსზე არიან წარდგენილნი.

განხილვას ესწრებოდნენ კათედრის წარმოადგენლები, ფასილიტატორი, შეფასების ჯგუფის წევრები. განხილვაზე გამოითქვა საინტერესო მოსაზრებები, წარდგენა მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში მიმდინარეობდა.მასწავლებლებმა აღნიშნული კვლევა დადებითად შეაფასეს.

ანაბასისის მოცეკვავეთა ანსამბლის გამოსვლა წარმატებული იყო "შავი ზღვის ვარსკვლავზე" და

ს აერთაშორისო ფესტივალ " კულტურათა სოლიდარობაზე" ბათუმში,გოგი ქლიბაძის ხელმძღვანელობით.

ქ.ქუთაისში გამართულ იმერეთის საკვალიფიკაციო ტურნირში წარმატებულად ისპარეზეს ანაბასისელებმა ქალბატონ ვიოლეტა შეყილაძის ხელმძღვანელობით.პირველ ტურში გამარჯვება იზეიმეს პირველკლასელებმა-მათე მანაგაძემ და გიორგი ფერაძემ.მეოთხე თანრიგოსანთა შორის გაიმარჯვეს მესამე კლასელმა- იოსებ გოგნაძემ და მეოთხე კლასელმა- დავით მესხმა.

ვულოცავთ მათ ამ დიდ გამარჯვებას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს!